ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2288863

ნომერი: AR1353990

თარიღი : 03.11.2015

გაცემის თარიღი : 10.11.2015

გაცნობის თარიღი : 11.11.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიღომი , აგრარული უნივერსიტეტიტის ტერიტორია;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით კახიანი პ/ნ 01006007920
- გიოგი პაპაშვილის 19

ორგანიზაცია:

- მონტაჟ ჯორჯია კოდი: 205258335

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების

გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1353990 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით დასკვნას მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.72.14.013.058) სამშენებლოდ განვითარებასთან დაკავშირებით. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის #20–105 დადგენილებით დამტკიცდა დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა. რომელიც განსაზღვრავს დასახლებათა ტერიტორიების გამოყენების (მიწათსარგებლობის) და განაშენიანების ძირითად პარამეტრებს, კეთილმოწყობის, გარემოსა და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დამცავ სივრცით-ტერიტორიულ პირობებს, სატრანსპორტო, საინჟინრო და სოციალური ინფრასტრუქტურის, ასევე ეკონომიკური განვითარების სივრცით ასპექტებს და განსახლების ტერიტორიულ საკითხებს. აქვე გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთზე მიწათსარგებლობის გენერალური გრაფიკული ნაწილის–რუკის მიხედვით ვრცელდება საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2 (სსზ–2) „ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის N4-13 გადაწყვეტილების თანახმად,საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2 (სსზ–2) წარმოადგენს განაშენიანების მაღალი ინტენსივობის ზონას, მათ შორის კარკასი სადაც დომინირებულ სახეობას შეადგენს ობიექტები საზოგადოებრივი დანიშნულების ფუნქციებით. საცხოვრებელ ზონა 2 (სზ-2) წარმოადგენს ზონას, სადაც განაშენიანების დომინირებული სახეობაა ერთბინიანი საცხოვრებელი სახლები. ასევე, დასაშვებია ამ წესების დანართით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური ზონალური ნებართვით დაშვებული სახეობები (იხ. დანართი).
აქვე დამატებით მოგახსენებთ, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთი ხვდება ამერიკის შეერთებული შტატების 200მ. საელჩოს შეზღუდვის არეალში (იხ.დანართი).
ასევე გაცნობებთ, რომ მოცემულ მიწის ნაკვეთზე არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემულია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები (15/09/2015წლის ბრძანება № 2178536), ოფისი–კანტორა განთავსების მიზნით.
აქვე დამატებით, განგიმარტავთ, რომ მოცემული მიწის ნაკვეთის ფუნქციური დანიშნულებას წარმოადგენს სასოფლო სამეურნეოს, აქედან გამომდინარე, ვინაიდან ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2 (სსზ–2)რაც ითვალისწინებს მიწის ნაკვეთის საზოგადოებრივი დანიშნულების ფუნქციით მქონე განვითარებას. საჭიროა იქნება მიწის ნაკვეთის ფუნქცია – სასოფლო–სამეურნეო შეიცვალოს არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების ფუნქციით.
ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, არქიტექტურის სამსახურს, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება შესაძლებლად მიაჩნია მასზე მოქმედი ფუნქციური ზონის შესაბამისად. ასევე საჭირო იქნება დაცული იქნეს ტერიტორიაზე მოქმედი განაშენიანების რეგულირების ხაზები (იხ.დანართი).

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.